პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 70 (19512) ◆ პარასკევი, 21 მარტი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პარტიის გეგმებს — მუშური დაჩქარება

თბილისელ მუშათა—სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა მოწოდება

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელისადმი ჩაებმან შეჯიბრებაში დევიზით: „ხუთწლედის ორი წლის დავალება—დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ დღეებში ჩვენმა ამხანაგებმა, სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის მონაწილე ლენინგრადელმა მუშებმა, მისი გადწყვეტილებებით აღფრთოვანებულებმა და იმ ურყევი ნებით გამსჭვალულებმა, რომ განახორციელონ აღმშენებლობის დასახული გეგმები, ლენინგრადელებსა და ლენინგრადის ოლქის მშრომელებს მოუწოდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეათე წლისთავისათვის შეასრულონ ხუთწლედის ორი წლის დავალებანი, უზრუნველყონ პროდუქციის მაღალი ხარისხი, მიაღწიონ ყველა რესურსის ეკონომიურ ხარჯვას. მიგვაჩნია, რომ ამ კეთილ, პატრიოტულ თაოსნობას მხარი უნდა დავუჭიროთ ჩვენც, საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა. მისი მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დაჩქარება კი ლენინური პარტიის ისტორიული XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული პარტიის სტრატეგიული კურსის არსის კონცენტრირებული გამოხატულებაა, ყრილობისა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობის დიდი პატივი გვხვდა წილად.

იმაში, რომ ეს თაოსნობა გამოიჩინეს სწორედ ლენინგრადელებმა, არის თავისი ლოგიკა და კანონზომიერება. ლენინგრადი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აკვანია, სწორედ აქედან ითქმის სამოცდაათი წლის წინათ მძლავრი იმპულსი მიეცა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დაჩქარებას, რომელიც დღესაც განსაზღვრავს თანამედროვე ეპოქის სახეს. ლენინგრადი საბჭოთა ადამიანების მამაცობის, სიმტკიცის, უდრეკელობის, ჩვენი ისტორიის ყველაზე პასუხსაგებ გარდამტეხ მომენტებში ეროვნულ-პატრიოტიზმისადმი მათი უსაზღვრო ერთგულების სიმბოლოა, ლენინგრადი, ლენინგრადელები დღესაც ქვეყნის შრომითი გმირობის ავანგარდში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებზე, იმათ შორის არიან, ვინც ერთერთმა პირველმა მთელი გულით, კონკრეტული საქმეებით დაუჭირა მხარი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის ნოვატორულ გეზს.

ჩვენს რესპუბლიკას ლენინგრადელებთან მუდამ აქვნდა ყველაზე მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა, იზიარებდა და უზიარებდა მოწინავე გამოცდილებას, მიღწევებს შრომაში, მეცნიერებაში, კულტურაში. დიდი აზრი აქვს იმას, რომ განვაგრძოთ მეგობრობისა და ძმობის ეს ტრადიციული ურთიერთობა თვისებრივად ახალ საფუძველზე. ჩვენი ცხოვრების ახალ პირობებში, დაჩქარების ახალი რიტმით, რომლითაც ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომელმაც შეიმუშავა პარტიის ახალი სტრატეგიული კურსის საფუძვლები, სკკპ XXVII ყრილობამ საბოლოოდ რომ დაამტკიცა. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი შეიძლება იყოს ის, რომ საქმიანად დავუჭიროთ მხარი ინიციატივას „ხუთწლედის ორი წლის დავალებანი — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“, რასაც მოუწოდებთ საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ტექნიკურ ინტელიგენციას.

რა არის ინიციატივის არსი? მეთორმეტე ხუთწლედს, განსაკუთრებით მის დაწყებთის პერიოდს, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევის, სახალხო მეურნეობაში ძირეული, ნოვატორული გარდაქმნების გრძელვადიანი პროგრამის რეალიზაციაში. ეს მოითხოვს დიდ დროს, ტემპის ზრდას კი უნდა მივაღწიოთ დაუყოვნებლივ, დღესვე. ხუთწლედის თავისებურება სწორედ ის არის, რომ ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ ბაზაზე სახალხო მეურნეობის ტექნიკური განახლება განვახორციელოთ წინსვლის ტემპის ერთდროული დაჩქარების კვალობაზე. აქედან, როგორც ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ მაქსიმალურად ავამოქმედოთ ყველა ჩვენი რეზერვი. და უპირველია დავიწყოთ იმ რეზერვებით, რომლებიც არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს, მაგრამ სწრაფ და საგრძნობ ეფექტს იძლევა.

საქმე უწინარესად ეხება ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, შექმნილი საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენებას, შრომის სტიმულირების ქმედითობის გადიდებას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას, უყაირათობის დაძლევას.

ასეთი რეზერვები და შესაძლებლობანი — მოდით, პირდაპირ ვთქვათ — საკმაოდ გვაქვს თითოეულ სამუშაო ადგილას, თითოეულ ბრიგადაში. ყრილობის შემდეგ ჩვენს შრომითს კოლექტივებში რომ დაებრუნდით, ჩვენ, დელეგატებს, ამხანაგები დაგვხვდნენ აღფრთოვანებულნი, შემართებულნი, სასიხარულო და საქმიანი განწყობილებით. მსჯელობამ, საუბრებმა, შეხვედრებმა გვიჩვენა: ადამიანები გამსჭვალულან ახალი გეგმებით, გადაწყვეტილებებით, ნათლად ხედავენ, რომელ უბანზე ვერ ვმუშაობთ მთელი დაძაბვით, სად იჩენს თავს ინერცია, უძრაობა, ზოგჯერ კი გულგრილობა მშობლიური საწარმოს ბედისადმი, პროდუქციის ხარისხისადმი. უაღრესად საჭიროა ასლა არ დაკარგოთ ეს შემართებული ენერგია, სურვილი ვქმნიდეთ, ხელიდან არ გავუშვათ აქტიური გარდაქმნისათვის მზადყოფნის დრო, არ დაკარგოთ იმ ენერგიის წვეთიც კი, რომლის მძლავრი მუხტი ყრილობამ შეგვძინა.

ჩვენ ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონეთ პირადი შესაძლებლობანი, ბრიგადების, კოლექტივების შესაძლებლობანი, რომლებშიც ვმუშაობთ, და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ხელგვაწვიფება **1987 წლის 7 ნოემბრისათვის შეკასრულოთ ხუთწლედის ორი წლის დავალებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, უზრუნველვყოთ პროდუქციის სტაბილურად მაღალი ხარისხი, მივაღწიოთ ყველა რესურსის დამატებით ეკონომიას.** აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი, თუ არა უფრო დიდი ვალდებულებანი, შეუძლია იკისროს ყოველმა საწარმოო ბრიგადამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

დაუკვირდით იმას, თუ რამდენ ძვირფას სამუშაო დროს ვკარგავთ გაცდენების, მოწყობილობის მოცდენების, მის შესაძლებლობათა არასრული გამოყენების გამო, რამდენი შეფერხება წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ შეუთანხმებლად მუშაობენ მომიჯნავეები, რამდენი ნედლეული, სათბობი, ენერგია, სხვა მასალები იხარჯება ფუჭად, როცა უგერგილობისა და უყაირათობის გამო ვუშვებთ წუნს, ზოგჯერ რა ფორმალურად ვეკიდებით სამეურნეო ანგარიშის, გამჭოლი იჯარის დანერგვას, უდარდელად თვალს ვარიდებთ საყურადღებო გამოცდილებას, მუშაობის ახალ მეთოდებს, — და დაგვეთანხმებით: დიახ, რეზერვები ნამდვილად ძევს ზედაპირზე, **ხუთწლედის ორი პირველი წლის სამუშაო კალენდრის თითქმის ორი თვით გასწრება რეალური და შესაძლო საქმეა.**

მაგრამ, ამხანაგებო, მოდით, ახალ საქმეს ხელი მოვკიდოთ არა ისე, როგორც წინათ ვკიდებდით ხოლმე, არამედ ახლებურად! დღეს აღარ გვჭირდება მარტოოდენ ციფრები, დაპირებანი და ლოზუნგები. საქმე, საქმე და კიდევ ერთხელ საქმე! დაჩქარების რეალური მიჯნების დასაბუთებაში აქტიურად უნდა ჩავაბათ ეკონომიკური სამსახურები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოწინავე მუშები, რაციონალიზატორები. თითოეულმა უნდა იცოდეს თავისი პირადი დავალება, კონკრეტული მიჯნა, რომელსაც უნდა მიაღწიოს ხუთწლედის მეორე წლის დამლევისათვის, თითოეული სამუშაო წუთის, სამუშაო დღისა და ინ ბერკეტების ყადრი, რომლებიც მისი უკიდურესობამდე შემჭიდროების შესაძლებლობას მოგვცემს. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ თითოეულ საწარმოში, თითოეულ ბრიგადაში, სადაც მიიღებენ გადაწყვეტილებას, მხარი დაუჭირონ ჩვენს მოწოდებას, იქნებოდეს დროებითი საგუშაგოები და შტაბები, რომელთა მოვალეობა იქნება თითოეული საწარმოო კოლექტივის მიერ მიზნის მიღწევის კონკრეტული პროგრამის შემუშავება.

ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებისათვის მუშაობის ძირითადი სიმძიმე უნდა დაეწვეთ კომუნისტებს, განსაკუთრებით სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებს. ეს დიდი ძალაა. და თუ კომუნისტს პარტიის წევრობა არ აძლევს არავითარ პრივილეგიას, პირიქით აკისრებს მხოლოდ დამატებითს მოვალეობებს, მაშინ ამხანაგების განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი დელეგატისათვის ეს ერთიორად, ერთისამად სწორია. მოვუწოდებთ სკკპ ისტორიული XXVII ყრილობის დელეგატებს იყვნენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა სიმაღლეზე, არა მარტო ფეხს უსწრებენდნენ დროს, არამედ უსწრებდნენ კიდეც მას, უძღვებოდნენ ამხანაგებს, იყვნენ ახალი გზების პიონერები და მზვერავები. **ჩვენი დიდი ამოცანაა, ჩვენი ვალი და მოვალეობაა მომავალ ღირსშესანიშნავ მოვლენას ქვეყნის ცხოვრებაში — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს შევეგებოთ ახალი მიღწევებით შრომაში, ხორცი შევასხათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის დიდებულ გეგმებს.** მაშ, მოდით, ნოესი ძალ-ღონე, ენთუზიაზმი, შემოქმედებითი ენერგია მოვახმაროთ ამ საქმეს!

კიდევ უფრო გავაძლიეროთ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის შეჯიბრება!

ვალინა არტემიევა, თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანის“ ელექტრომემონტაჟე, **იური ბოდოლოვი**, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ალექსანდრე დათიაშვილი**, „თბილისგვირაბმშენის“ თბილისის სამმართველოს ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, **ანატოლი დიხტიარი**, გაერთიანება „თბილისქალაქმშენის“ № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **მაყვალა ენუქიძე**, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ თბილისის გამოთვლითი ტექნიკის საშუალთა საცდელი ქარხნის მეგალვანე, **ვიოლეტა ზორინა**, თბილისის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშრომის“ მჭრელი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **მარია კალმახელიძე**, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მჭრელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ლეონა კრიხელი**, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქოველი, **ნოდარ შამროანი**, თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტროშალნის“ ქარხანა „მიკროძრავის“ შეთაური საწარმოს ზეინკალ-მეინსტრუმენტე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **გურამ შეტონიძე**, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელშავალმშენებლის“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **სვეტლანა ორლოვა**, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მშტამპავი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ტრიფონ როსტიაშვილი**, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო-საწარმოო გაერთიანების ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ირინე სარიშვილი**, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ თბილისის სარემონტო-მექანიკური ქარხნის ოპერაციონისტი, **ვერა ქემაშვილი**, თბილისის კაშეულ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კამეოლური რთვის წარმოების ოსტატის თანაშემწე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **როენა ჩიტიშვილი**, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროგამშვების“ ამწყობი ზეინკალი.

თეიმურაზ გოგიაშვილი წარმოშობით ტყიბულელია. მან მუშაობა დაიწყო მეტროპოლიტენის სახურთალოს ხაზის მშენებლობაზე. შრომისმოყვარე უმაწვილი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა კოლეგებს. მშენებლობა მისი, როგორც პიროვნების, სპეციალისტის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ადგილად იქცა, აქ შეიცნო შემოქმედებითი შრომის სახარული. თავისი ოსტატობა მან დაადასტურა საკავშირო კონკურსზე, როდესაც „ხელმარჯვე ოსტატის“ საპატიო წოდება მოიპოვა.

შრომაში მიღწეული ჩინებული მაჩვენებლებისათვის ახალგაზრდა მეტრომშენებელს საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა, სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობაზე იგი საქართველოს კომკავშირის წარმომადგენელი იყო.

შომამავლობით გვირაბგამყვანს, ახალგაზრდა კომუნისტს თეიმურაზ გოგიაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადეს — იგი იყო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი.

სურათზე: გვირაბგამყვანი თეიმურაზ გოგიაშვილი.

ა. საპაკოვის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ გაწეული პრაქტიკული მუშაობის მიუხედავად, სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა მიხედვით ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია კვლავ არ არის საკმარისი, მოითხოვს სრულყოფასა და შემდგომ გააქტიურებას. ცნეს, რომ მუშაობას ამ მიმართულებით ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოებს დაევალათ გადასინჯონ და განახორციელონ ყველა შრომითს კოლექტივში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია სიფხიზლისათვის ბრძოლის გაძლიერება. ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება, მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს წარმოებაში საქმის ვითარების გაუმჯობესებას, სოციალისტური დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარებას, ყველგან ჯანსაღი ზნეობრივი კლიმატის შექმნას. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველ მდივანთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქმის ვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს კომპარტიის სოხუმის, ცხინვალის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებს, თბილისის ლენინის, გორკაანის, წალკის, რაიკომებს მეუთითა, რომ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფენ ქმედითს კონტროლს ამ საკითხზე პარტიის მითითებათა რეალიზაციისადმი. აღინიშნა აგრეთვე, რომ რესპუბლიკის კულტურის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, საქართველოს სამომხმარებლო კავშირმა ვერ უზრუნველყვეს მთლიანი მოცულობით იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

განიხილეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საინფორმაციო სააგენტოში კადრებთან მუშაობის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ საქინფორმის ხელმძღვანელობა და პარტიული ორგანიზაცია გარკვეულ მუშაობას ეწევიან სააგენტოს საინფორმაციო-პროპაგანდისტული საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებისათვის. ამავე დროს კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალი საკმარისად არ გამოიყენება, არის სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები საკადრო პოლიტიკაში. საქინფორმის კოლეგიასა და პარტბიუროს დაევალათ განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, ძირეულად შეცვალონ მიდგომა კადრებთან მუშაობისადმი სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ლიტერატურული და ფოტომასალების ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა მშრომელთა ეკონომიკური მომზადების ორგანიზაციის, წარმოების ეფექტიანობის რეზერვების ძიებაში მისი შინაარსის გაუმჯობესებისა და როლის გაძლიერებისათვის მუშაობაში, დისციპლინისა და წესრიგის უველგან განმტკიცებაში პარტიის სიღნაღის რაიკომთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოს სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი. პარტიის რაიკომის მუშაობა ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად ცნეს. მშრომელთა ეკონომიკური განათლების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს, პარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანს ამხ. ნ. ღლიღვაშვილს ეკონომიკური განათლების სისტემის ხელმძღვანელობის დაბალი დონისათვის, ფორმალიზმისა და სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მიეთითა. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შეაჯამა საქართველოს სსრ საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების ხუთი თვის შედეგები, აგრეთვე განიხილა ყიზლარისა და შიდარესპუბლიკურ ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გამოზამთრების მიმდინარეობის საკითხი. მაღალი პარტიული ორგანიზაციებისა და მეცხოველეობის ფერმების ხელმძღვანელთა ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს, დაისახა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რესპუბლიკის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამ საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს 1985 წელს რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებში მშრომელთა წერილებსა და ზეპირ მიმართვებზე მუშაობის საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა, და უწყებებს დაავალა გაზარდონ მომთხოვნელობა ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობის სწორი დაყენებისათვის, დღენიადაგ იზრუნონ ადამიანებისადმი, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღებიანი, პატივისცემითი დამოკიდებულებისათვის.

შეჯამდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის შედეგები. შეჯამდა აგრეთვე 1985 წელს საკვების დამზადებისათვის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ამ საკითხებზე მიღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

ლენინური კომუნისტური შაბათობის შესახებ

დიდი თაოსნობის მემკვიდრენი

ენთუზიაზმი, შემოქმედება, საქმიანი განწყობილება — ასეთია ნიშნები პატრიოტული მოძრაობისა, რომელიც გაჩაღდა დედაქალაქის მოწინავე კოლექტივებში. მათ წამოაყენეს წინადადება 19 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. წელს ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის მზადება აღსავსეა განსაკუთრებული შინაარსით: სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის ახალი ორიენტირები. მიტინგებსა და მუშათა კრებებზე მოსკოველები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შრომის დღესასწაულის დღეს იმუშაონ უდიდესი უკუგებით, გამოიყენონ დაზოგილი ნედლეული და ენერგორესურსები. მოწინავეთა მიჯნებზე გვესაუბრებიან საკდესის კორესპონდენტები.

მოსკოვის სახარისხებელი დეპო. პირველი ხუთწლედების დამკვრელთა ტრადიციებს განაგრძობენ მოსკოველი რკინიგზელები. საწარმო, სადაც დიდი თაოსნობა ჩაისახა, საქმიანად ემზადება 19 აპრილისათვის. შაბათობა კოლექტივისათვის ნამდვილი შრომის დღესასწაული გახდება. საუკეთესო სალოკომოტივო ბრიგადები საესტაფეტო მარშრუტებს მოაწყობენ და მოსკოვის საწარმოთა პროდუქციას გადაიტანენ ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე. სულ კი დაზოგილი ელექტროენერგიით რეისებს შეასრულებს 84 სამგზავრო და 180 სატვირთო მატარებელი. გარდა ამისა, დაზოგილი მასალების გამოყენებით დეპოში შეაკეთებენ 11 ლოკომოტივს.

ა. ი. ეფრემოვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა „წითელი პროლეტარი“. რეკონსტრუქციის რთულ პირობებში შრომობენ მანქანათმშენებლები — აჩქარებენ რა ახალ სიმძლავრეთა ათვისებას, აქ ემზადებიან იმისათვის, რომ 19 აპრილს შეხვდნენ უდიდესი შრომის ნყოფიერებით.

უდიდესი გზა — ლეგენდარული „დიპოიდან“ ელექტრონიკით აღჭურვილ რობოტებამდე და ჩარხებამდე — განვლო სახელოვანმა კოლექტივმა. ტრადიციისამებრ შაბათობა აქ ყოველთვის იყო შრომითი რეკორდების დღე, რომლებიც აჩვენებენ საწარმოს მზარდ შესაძლებლობებს. წელს 19 აპრილს აქ დასახული აქვთ გამოუშვან 1,5 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე ნორმით არის ნავარაუდევი, დაამზადებენ რიცხვულ-პროგრამული მართვის 21 ჩარხს, 10 რობოტს.

№ 4 „მოსკოვმშენის“ ტრესტი. ასობით ახალი ბინით გაახარებენ მოსკოველებს მშენებლები. ვლადიმერ ილიას ძის დაბადების დღის აღნიშვნა დიდი ხანია კარგ ტრადიციად იქცა. 19 აპრილამდე დიდი ხნით ადრე კოლექტივი შრომას დაიწყებს დაზოგილი მასალებით. ეს არის საწარმოს ნოვატორთა მიღწევა, რომელთა წინადადებების რეალიზაცია საშუალებას იძლევა დაიზოგოს ასიათასობით აგური, დიდძალი საშენი კონსტრუქცია, მოსაპირკეთებელი მასალა. შრომის დღესასწაულის დღეს გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას, რომ გამოაკლონონ მაღალი პროფესიული ოსტატობა, შეკმნან კარგი მარგანკეთი ახალი მიღწევებისათვის.

№ 1 ავტოკომბინატი. ამ საწარმოს ტრანსპორტის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს უზრუნველყონ მშენებელთა მუშაობის ზუსტი რიტმი. მათ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი. დაამტკიცეს დედაქალაქის ახალმშენებლობებისათვის 19 აპრილს მასალების მიწოდების ზუსტი გრაფიკები. მაღალი მიჯნები განსაზღვრეს მერემონტეებმაც. ამ დღეს ისინი უზრუნველყოფენ ხაზზე მთელი მოძრაგი შემადგენლობის 96 პროცენტის გამოსვლას. ეს მიღწევა შემდგ უნდა გახდეს თითოეული ცვლის ნორმა. სულ კი შაბათობის ანგარიშში მძღოლები გადაიტანენ 77 ათას ტონა ტვირთს.

(საკდესის კორ.)

მოსკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწოდება

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი

პატივცემულო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს თავის მოვალეობად მიაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით მოგმართოთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან საკითხზე — ბირთვული იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის თაობაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, ტანზანიის, შვეიცარიისა და საბერძნეთის ხელმძღვანელთა მიმართვა. მათ შეახსენეს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრაზე გამოითქვა მტკიცე გადაწყვეტილება უსწრაფეს შედეგებს მიაღწიონ ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებებზე. წერილში გამოთქმულია აგრეთვე გონივრული წინადადება, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავი შეიკავონ ყოველგვარი ბირთვული გამოცდისაგან მომდევნო უმაღლესი დონის შეხვედრამდე.

როგორც შევიტყვეთ, ანალოგიური მიმართვა პრეზიდენტმა რ. რეიგანმაც მიიღო.

თავის პასუხში მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ბირთვულს აფეთქებებს არ განახორციელებს 31 მარტის შემდეგაც — ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ ბირთვულ აფეთქებამდე.

ამით საბჭოთა კავშირი შეუერთდა ექვსი ქვეყნის აზრს. ეს ნიშნავს, რომ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობას შვიდი სახელმწიფო დაბეჯითებით მოუწოდებს შეწყვეტოს ბირთვული იარაღის გამოცდები. ახლა ამ სახელმწიფოებში სხვადასხვა კონტინენტზე მილიარდზე მეტი კაცი ცხოვრობს. მათ უერთდება ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

საბჭოთა კავშირი ცალმხრივი წესით უკვე შვიდ თვეზე მეტი ხანია არ აწარმოებს ბირთვულ გამოცდებს. ამავე დროის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა შვიდი ოფიციალურად გამოცხადებული ბირთვული აფეთქება და აპრილში მერვე აფეთქებას ამზადებს.

ამგვარად, მთელი მსოფლიო ხედავს ძირეულ განსხვავებას ორი სახელმწიფოს პოზიციებში.

მიმართავენ რა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ექვსი ქვეყნის ხელმძღვანელები აცხადებენ: „თქვენ გაკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა ჩვენი გადარჩენის უზრუნველყოფისათვის“. სსრ კავშირს, თავის მხრივ, მთლიანად აქვს შეგნებული ეს პასუხისმგებლობა, იგი მზად არის ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკებისათვის ყოველგვარ — ორმხრივ, სამმხრივ, მრავალმხრივ საფუძველზე. ახლა ყველაფერი ამერიკის შეეთებულ შტატებზეა დამოკიდებული.

ორმხრივი მორატორიუმისა და ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებანი, ჩვენი რწმენით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

მაგალითად, ამბობენ, რომ გამოცდები საჭიროა ამერიკის ბირთვული იარაღის „საიმედოობის“ შესამოწმებლად. სინამდვილეში კი გამოცდები ეწყობა მისი მოდერნიზაციისათვის, მისი საბრძოლო, დამანგრეველი თვისებების გაძლიერებისათვის, ახალ სახეობათა შექმნისათვის, მათ შორის, კოსმოსში გამოსაყენებლად. მაშასადამე, იმედს ამყარებენ იმაზე, რომ მსაბრძოლი ბირთვული იარაღის პოტენციალი განაგრძობდეს ზრდას, თუმცა იმის მეშვეობითაც, რაც არის, შეიძლება კაცობრიობის აფეთქება და სამარის მტვრად პლანეტის დაფარვა.

ასეც ამბობენ, მოდით, კონტროლის მეთოდების შემუშავებას დაჯერდეთო. მაგრამ ამასთან წინადადება შემოაქვთ კონტროლი დაუწესდეს არა გამოცდების შეწყვეტის შესახებ მორიგებათა დაცვას, არამედ ბირთვულ აფეთქებებს, რომელთა გაგრძელებაც სურთ.

დარწმუნებული ვართ, რომ მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის ბირთვული

განუხრელად ვიღვაწოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის!

კიდევ ერთი თანამედროვე საწარმო ემატება თბილისის ინდუსტრიულ პოტენციალს. მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სამეგობრო-საჩითვი კორპუსი, რომლის სიმძლავრე წელიწადში 30 მილიონ მეტრ ქსოვილზე მეტია.

ხარისხი მთავარი საზრუნავია

აქ ყველა აგრეგატს მართავს კომპიუტერული ტექნიკა.

ახალი კორპუსის მწყობრში ჩადგომით დაიწყო ტექნიკური განახლების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე აქ დაიდგმება ახალი საქსოვი, საგრეხი, საქსელე, სახვევი დანგები, მწყობრში ჩადგება სხვა დიდმწარმოებლური მოწყობილობა. მთლიანად განახლდება ქსოვილების მხატვრულ-კოლორისტული გაფორმება.

თბილისელებს მოწყობილობის ათვისებაში დაეხმარნენ მოგილოოვისა და უჩოკინოს აბრეშუმის კომბინატებში მომუშავე კოლეგები. დაახლოებით 400 კაცმა შეიძინა ამ საწარმოებში დამჩითავის, მეაპარატურის, მბეჭდავის პროფესიები. ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება გაერთიანების კოლექტივს საშუალებას მისცემს შექმნას მოქნილი საწარმოო კონვეიერი, რომელიც ორიენტირებული იქნება მყიდველის მოთხოვნაზე. გაერთიანების კოლექტივმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს, რათა მთლიანად გარდაქმნას თავისი მუშაობა მომხმარებლის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ქართული აბრეშუმის კარგი რეპუტაცია, რა სამწუხაროც უნდა იყოს ეს, წარსულს ბარდება. ერთ დროს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში სანიმუშო საწარმომ, მარტო შარშან დააკლო სახელმწიფოს დაახლოებით ორი მილიონი მეტრი ქსოვილი. გამოშვებული პროდუქციის ნაწილმა კი წარმოქმნა მილიონობით მანეთის ზენორმატიული ნაშთები.

— პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ შარშან საწარმოებს დაუბრუნდათ ან დაბალ ხარისხშია გადაყვანილი მილიონობით მეტრი ქსოვილი, მილიონობით წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, მრავალი სხვა სახალხო მოხმარების საქონელი, — თქვა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ზ. იოსელიანმა, — სწორედ განვლილი ხუთწლედის დამლევისათვის გახდა ჩვენთვის ნათელი, რომ საჭიროა განვახორციელოთ ოპერატიული ღონისძიებანი, გარდავქმნათ ცალკეული საწარმოების, უბნების, სამმართველოების მუშაობა.

(საქინფორმი).

ᲛᲮᲐᲠᲘ ᲕᲣᲨᲬᲝᲠᲝᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗ

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის-დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს ცელულოზა-ქაღალდის, ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივების საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს, სპპტიო დიპლომებითა და ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო და თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა.

მაღალი ჯილდოს პასუხად ამ კოლექტივებმა გადაწყვიტეს ყოველი ღონე იხმარონ, რათა უთუოდ შეასრულონ პირველი კვარტალისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, შექმნან საიმედო საფუძველი მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის საეგზამო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

ᲫᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘ რეკონსტრუქციის შემდეგ ბორჯომის რაიონის ახალდაბის საავეჯო ფაბრიკა ენერგიულად შეუდგა მუშაობას.

ახალი საწარმოო კორპუსის მშენებლობის დამთავრებამ, რომლის ფართობი 4200 კვადრატული მეტრია, შესანიშნავი შრომის პირობები შეუქმნა ფაბრიკის ამწყობმომპირკეთებელ უბანს. აქ დაამონტაჟეს დიდმწარმოებლური ნაკადური ხაზი, რომელმაც ხელის შრომა ერთიორად შეამცირა.

ბევრი რამ გაკეთდა მეავეჯეთა შრომისა და დასვენების პირობების გასაუმჯობესებლად. აშენდა სასადილო, გასახდელები, კლუბი, ბიბლიოთეკა, გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

მომდინარე წელს მეავეჯეები 10 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას გამოუშვებენ. აღსანიშნავია, რომ რეკონსტრუქციამდე ეს მაჩვენებელი 6 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა.

Ზ. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

თბილისი „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი წარმატებით შრომობს მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო დავალებათა უთუო და დაგეგმარებით შესრულებისათვის.

პროდუქციის დამზადების პარალელურად გაერთიანებაში. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია და ინერგება ახალი ტექნიკა. სახელდობრ, დაინერგა პროგრესული ტექნოლოგიური ხაზები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ახალი საშუალებანი, რის შედეგადაც ხელით დასაქმებულთა რაოდენობა 25 კაცით შემცირდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საამქრომ დაამზადა და წარმოებაშიც დანერგა ოთხმოცამდე არასტანდარტული და სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობა.

რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ აქ 29 მილიონი მანეთის ახალი მანქანა-დანადგარები დამონტაჟდება. მათ შორის გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის რობოტების ამოქმედება, აქ ფართო მასშტაბით გამოიყენებენ ისეთ მანქანა-დანადგარებს, რომლებიც იმთავითვე დაკომპლექტებული იქნება რობოტებითა და მანიპულატორებით.

გაერთიანებაში სულ უფრო იკიდებს ფეხს პროგრამული მართვის მანქანა-დანადგარები, მათი რაოდენობა მეთორმეტე ხუთწლედში 100-ს გადააჭარბებს, მაშინ როდესაც დღეს მისი რაოდენობა ორმოცს არ აღემატება.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

11-19 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში სწავლებას გადიოდნენ მუშები და კოლმეურნეები — საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრები. მეცადინეობის დროს ისინი სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მის ეკონომიკურ სტრატეგიას თანამედროვე ეტაპზე პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის აქტუალურ საკითხებს. განსაკუთრებული უურადღება დაეთმო შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაფართოების, პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, „ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების პრობლემებს.

სწავლის ბოლო დღეს მსმენელებს შეხვდა და ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი.

გაიმართა საქმიანი სხა-ბაასი სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დიდ და პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებითაც განსახიერებულია პარტიის სიბრძნე, მისი პოლიტიკური რეალიზმი და მომავლისადმი სწრაფვა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის კურსი, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება, მძლავრ სტიმულს აძლევს აღმშენებლობითს მუშაობაში ახალი წარმატებების მიღწევას, ჩვენი საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის უზრუნველყოფას. ადგენან რა ამ კურსს, მუშებმა და კოლმეურნეებმა, არჩევითი პარტიული ორგანოების წევრებმა თავიანთი კონკრეტული საქმეებით ხელი უნდა შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საფუძველზე წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, შრომის მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანი ფორმების გამოყენებას. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა განვახორციელოთ აქტიური სოციალური პოლიტიკა, თანამიმდევრულად დავამკვიდროთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი, საბოლოოდ დავძლიოთ ყველაფერი, რაც აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს, მაქსიმალური ზრუნვა გამოვიჩინოთ ადამიანისადმი.

შეხვედრის მონაწილეებმა საკადრო პოლიტიკის განხორციელების აქტუალური პრობლემების გაანალიზებისას აღნიშნეს, რომ უფრო კრიტიკულად უნდა შევაფასოთ კომუნისტის, განსაკუთრებით ხელმძღვანელის სამმაანი და მორალური თვისებები, ხაზი გაუსვეს, რომ არჩევითი პარტიული ორგანოს თითოეული წევრი, თითოეული კომუნისტი აქტიურად უნდა იბრძოდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ მტკიცე და თანამიმდევრული კურსის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, ორგანიზებულობის გადიდება, ყველგან და ყველაფერში მკაცრი დისციპლინის დამკვიდრება.

ამხ. ბ. ვ. ნიკოლსკიმ პასუხი გასცა მსმენელთა მიერ დასმულ კითხვებს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ი. ალავიძე. (საქინფორმი).

გადაწყვეტილება საქმით ფასობს

ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ ბოლო წლებში თბილისის ჩარხსაშენებელმა საწარმოო გაერთიანებამ შეძლო საგეგმო დავალებათა შესრულება. იმედი მოგვეცა, რომ მისი მეთაური წარმოება — ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა ძველ სახელს დაიბრუნებდა და გაერთიანება მოწინავეთა რიგებში ჩადგებოდა.

გაერთიანებაში განხორციელდა რეკონსტრუქცია, ძველი ჩარხები და დანადგარები, რომლებიც დღევანდელობისათვის საყმაოდ მოძველდა, ახლით შეიცვალა, დაინერგა მოწინავე ტექნიკა და ტექნოლოგია, გამოსაშვები პროდუქციაც მთლიანად განახლდა. აქ მიზნად დაისახეს საერთაშორისო მოთხოვნილების დონის ჩარხები დაემზადებინათ.

საამისო პირობები კი არის. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ჩვენს ქვეყანაში არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე, მისი სწორი შეხამება სოციალისტური ეკონომიკის გეგმიან ხასიათთან, დარგის მოწინავე საწარმოთა დადებითი გამოცდილება. ამასთან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაერთიანებაში 600 კომუნისტია, აქ წინაადმდეგობათა დაძლევა ძნელი არ უნდა ყოფილიყო და დასახული მიზნის მიღწევასაც თითქოს წინ არაფერი ედგა. საჭირო იყო მხოლოდ, რომ პარტიულ კომიტეტს სწორი გადაწყვეტილებები გამოეტანა, რომლებიც განსახორციელებლად ეკმაყოფილებინა ადამიანების მუშაობის მიმართულებას, ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს გარკვეული დროის მანძილზე სამოქმედო პროგრამას მისცემდა, რა თქმა უნდა, ყოველ გადაწყვეტილებაში ყოველმხრივ დასაბუთებული იქნებოდა მისი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებანი.

მაგრამ წინასწარვე ვიტყვით: გაერთიანების პარტიულმა კომიტეტმა სათანადო სიმაღლეზე ვერ აიყვანა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, კომუნისტები ვერ დარაზმა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ამას კი სავალალო შედეგი მოჰყვა.

რამდენიმე თვის წინათ გაერთიანებაში განგაში ატყდა. მიზეზი ის იყო, რომ აქ გამოშვებული ჩარხები მთელი რიგი ტექნიკური დარღვევებით იყო გაკეთებული, ამიტომაც ხარისხის ნიშანი მოუხსნეს. მდგომარეობის შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო, რომ ბევრ შემთხვევაში გაერთიანება ფორმალიზმსა და გულარხეინობის განწყობილებას ვერ ასცდა.

დაახ, ყველაფრიდან ცხადი გახდა, რომ გაერთიანების დირექცია და პარტიული კომიტეტი შექმნილ ვითარებას ღრმად არ სწვდებოდნენ: სულტი იყო კადრებისადმი, შრომითი კოლექტივის თითოეული წევრისადმი მომკითხველობა, მით უმეტეს, რომ აქ არ იგრძნობოდა მინდობილი საქმისათვის ადამიანთა პერსონალური პასუხისმგებლობა. პროდუქციის გამოშვებაში არარტმულობის მთავარი მიზეზია ის, რომ არ ჰქონდათ ღრმად გააზრებული და ყოველმხრივ მოფიქრებული სამუშაო გეგმა. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, ტექნიკური დონის ამაღლებას. შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ სათანადოდ არ იბრძოდნენ. ცოტას ფიქრობდნენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, დიდი იყო არასაწარმოო ხარჯები. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულებს მიზნად არ ჰქონდათ დასახული მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებით შრომის ნაყოფიერების მაღალი დონისათვის მიეღწიათ.

ყველა ნაკლის აღმოსაფხვრელად დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა, ერთი შეხედვით, თითქოს საჭირო ღონისძიებანი დასახეს. ამოქმედდა პარტიული კონტროლი, გაიმართა პარტიული კრებები, რომლებზეც იღებდნენ დადგენილებებს, შესრულებას კონტროლი დაუწესეს, გაჩარაზდრის პასუხისმგებელი პირები და სხვ. პრაქტიკაში შემოიღეს „ხარისხის დღე“, როცა მიმდინარეობს ხოლმე მსჯელობა, პრაქტიკული გზების ძიება, მაგრამ ხარისხის საკითხი კვლავ მწვავედ დგას. გაერთიანების მიერ გამოშვებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს, შარშან გეგმით გათვალისწინებული ჰქონდათ 28,5 მილიონი მანეთის ხარისხსანშნიანი პროდუქცია გამოეშვათ. მაგრამ ამ დავალების შესრულებას 7 მილიონი მანეთის ჩარხები დაეკლეს.

გაერთიანებამ დასახული ამოცანების შესრულება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმის გამოც ვერ შეძლო, რომ პარტიული კომიტეტი ჯეროვან გერგილიანობას არ იჩენდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სათანადო მომთხოვნელობის ატმოსფერის შექმნისათვის, საჭირო კონკრეტულ ხელმძღვანელობას ვერ უწევდა საამქრო პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტჯგუფებს.

რა გაუჭირდათ ჩარხმშენებელ კომუნისტებს?

მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ პარტიულ კრებებზე სამმეიმის ცენტრი გადატანილი აქვთ სამეურნეო საკითხების განხილვაზე, ხოლო იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXVII ყრილობაზე აღინიშნა,— „დღეს ყველა ფორმის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მაქსიმალურად უნდა ეხამებოდეს მთავარ ამოცანას — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ იდეოლოგიური გავლენა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკვანძო ამოცანების გადაწყვეტაზე, უზრუნველყოთ, იდეურ-აღზრდელობითი, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ნამდვილი ერთიანობა“.

რატომ არა აქვს ბევრ დადგენილებას საჭირო ქმედითობა? როგორც ოქმებიდანაც ჩანს, გაერთიანების პარტიული ორგანიზაციები თავიანთ კრებებზე დადგენილებებს ზოგჯერ ნაჩქარევად იღებდნენ. არ ხდებოდა ღონისძიებათა პროექტის შეშუშავება იმ მუშაკებთან ერთად, რომლებსაც უშუალოდ უნდა უზრუნველყოთ მისი შესრულება. როგორც ცნობილია, და ეენინ-ლების ბედი მისი მომზადების პროცესზეც დიდად არის დამოკიდებული. როდესაც საკითხი შესწავლილია ღრმად და საფუძვლიანად, გაანალიზებულია ინ-მიზეზები, რომლებმაც ... ვანებანი განაპირობა, გამოტანილია ობიექტური დასკვნები, ასეთ დროს ძნელი არ არის კონკრეტული და საქმიანი გზების დასახვა. სწორედ ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობამ გააძნელა შესრულების კონტროლი.

მოდით ისევ კონკრეტულ ფაქტებს მივმართოთ: გაერთიანებაში შეინიშნება დაზგების უმიზეზოდ მოცდენა. მაგალითად, დაზგების უმიზეზოდ მოცდენის თაობაზე მოწყობილმა საკონტროლო შემოწმებამ აჩვენა, რომ ერთ დღეში 864 ლითონსაჭრელი დაზგიდან 58 არ მუშაობდა. მათი ამოქმედებისათვის კი თავი არავის შეუწუხებია. ამ საკითხით არც მთავარი მექანიკოსი კ. შამათავა და მთავარი ენერგეტიკოსი ა. მაჭავარიანი დაინტერესებულან. ასევე წლების მანძილზე დამზადებული ჩარხების შეფუთვა და შემკვეთთან გაგზავნა წესისა და ნორმების მიხედვით არ ხდება, ამიტომ შემკვეთი დაზიანებულ ჩარხებს იღებს. მართალია, ჩარხების შეფუთვისა და გაგზავნის საკითხი სპეციალურად შეისწავლეს, გამოვლინილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ღონისძიებებიც დაისახა, მაგრამ საქმეს, არათუ ეშველა, ვაუარესდა კიდეც. 1983 წელს დაზიანებული პროდუქციის მიწოდებისათვის გაერთიანებამ შემკვეთს 113,3 ათასი მანეთი ჯარიმა გადაუხადა, 1984 წელს — 111,9, ხოლო შარშან — 388,4 ათასი მანეთი.

როგორც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, „ძირეულად უნდა გარდაქმნას მუშაობა თბილისის ჩარხსაშენებელმა საწარმოო გაერთიანებამ (დირექტორი გ. ჯიქია), რომ ... ეფექტიანი, ... ეფექტიანი, ... ეფექტიანი,

ეკლესიები
ფაქტები • მოვლენები

საჭიროა კონკრეტული მორიგებანი

სოციინტერნის განიარაღების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

ოსლო. აქ გაიმართა სოციინტერნის განიარაღების საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომლის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივას ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე. მათ მოუწოდეს შეერთებულ შტატებს მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს და უარი თქვას ბირთვული აფეთქების მოწყობაზე, ამასთან ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ საჭიროა მიღწეულ იქნეს კონკრეტული მორიგებანი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების საკითხის შესახებ მოლაპარაკებაზე.

სხდომაზე ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარემ გ. ჰარლემ ბრუნდტლანდმა განაცხადა, რომ მუშათა პარტია საჭიროდ ცნობს დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი შეთანხმება ყოველგვარი ბირთვული აფეთქების აკრძალვის შესახებ, და მიაჩნია, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა ასევე უარი უნდა თქვან მათს განკარგულებაში არსებულ ბირთვულ იარაღზე, პარტიამ მხარი დაუჭირა ცენტრალურ ევროპაში საშუალო და მცირე სიშორის ბირთვულ-სარაკეტო იარაღის შეზღუდვას და შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას.

ნორვეგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელმა სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალი პარტიების მთავარი ამოცანაა შეიმუშაონ ერთიანი პოზიცია, რომელიც აქტიურად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების პროცესის განგრძობას. ყველა წინადადებას განაზოგადებენ და გაიტანენ სოციალისტური ინტერნაციონალის მორიგი კონგრესის განსახილველად, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება პერუს დედაქალაქ ლიმაში.

● აშშ

დახმარება აგრესიული ავანტიურების მოსაწყობად

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაცია „ნეოგლობალიზმის“ ინტერვენციონისტული დოქტრინის ხორცშესხმის ერთ-ერთ იარაღად იყენებს ამერიკის მოკავშირეებისათვის სამხედრო დახმარების პროგრამას. ეს დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სამხედრო დახმარების, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის უილიამ შნაიდერის გამოსვლამ.

როგორც პირდაპირ განაცხადა საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა, სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დახმარება „იმ სახსრების დიდმნიშვნელოვანი დანამატია, რომლებსაც შეერთებული შტატები ხარჯავს შეიარაღებული ძალების საქმიანობისათვის“. მის შემდგომ გამონთქვამებს იოტისოდენა ეჭვიც აღარ დაუტოვებიათ იმის თაობაზე, რომ ვაშინგტონი ყველაზე მეტ იარაღს ბუანის მსოფლიოს იმ რაიონებში, სადაც არასტაბილური პოლიტიკური ვითარებაა, ვინაიდან მიიჩნევს მათ აგრესიული ავანტიურების მოსახერხებელ პლაცდარმებად.

მაგალითად, შნაიდერის თქმით. „1987 საფინანსო წლისათვის დაგეგმილი სამხედრო დახმარების დაახლოებით ნახევარს“ აღმძრნისტრაცია გამოუყოფს თავის მოკავშირეებს მსოფლიოს ყველაზე უფრო აფეთქებასაშიშ რაიონში — ახლო აღმოსავლეთში. 3 მილიარდ დოლარს მიიღებს სამხედრო მიზნებისათვის ისრაელი — ამ რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი „სტრატეგიული მოკავშირე“. ეს, როგორც შნაიდერმა აღნიშნა, თელ-ავივს „საომარი მზადყოფნის უზრუნველყოფის“ შესაძლებლობას მისცემს. კიდევ 2,1 მილიარდი დოლარი უნდა გამოეყოს ეგვიპტეს, რათა „შეინარჩუნონ კაიროს ერთგულება“ ისრაელთან. სეპარატული, ეგრეთ წოდებული „საზავო ხელშეკრულებისადმი“.

თითქმის 3 მილიარდი დოლარი ასიგნებაა დაგეგმილი მომავალ ფინანსურ წელს პლანეტის სხვადასხვა „სტრატეგიული მნიშვნელობის“ კუთხეში ამერიკის სამხედრო ბაზების შენახვა-გაფართოებისათვის, აგრეთვე იმ სახელმწიფოებთან სამხედრო თანამშრომლობისათვის, რომელთა ტერიტორიაზეც განლაგებულია ეს ბაზები.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს არ დაუმალავს, რომ ვაშინგტონი განსაკუთრებულ უყურადღებას უთმობს იმ ქვეყნების მეზობელ სახელმწიფოთა სამხედრო მანქანის გაძლიერებას. ვის წინააღმდეგაც შეერთებული შტატები გამოუცხადებელ ომებს აწარმოებს. შნაიდერმა განაცხადა, რომ ადმინისტრაცია აპირებს საომარი პოტენციალი „განუმტკიცოს“ ტაილანდს, რომლის ტერიტორიიდან ქმნერთა კონტრრევოლუციური დაჯგუფებები თავს ესხმიან დამოუკიდებელი კამპუჩიის ტერიტორიას.

დამტკიცდება თუ არა ვარაუდი?

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების გემებმა, რომლებიც აწარმოებენ საძიებო სამუშაოებს ფლორიდის სანაპიროსთან, სადაც ჩამოვარდა „ჩელენჯერ“ კოსმოსური ხომალდის ნამსხვრევები კატასტროფის შემდეგ, ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს მყარსათბობიანი მაჩქარებლის დიდი ნატეხი.

სი-ბი-ეს ტელეკომპანიის თქმით, ეს არის მაჩქარებლის ქვედა ნაწილი, რომელშიც შედის წრიული შემამჭიდროებელი და სამაგრი, რომლითაც იგი სათბობის ავზზე იყო მიმაგრებული. შესაძლოა, რომ ეს აღმოჩენა საშუალებას მისცემს სპეციალისტებს დადგინონ, დაზიანებული იყო თუ არა მყარი სათბობის მაჩქარებლის შემამჭიდროებელი ცხელი აირების ზემოქმედებით ხომალდის სტარტისთანავე, რასაც, როგორც ვარაუდობენ, შემდეგ მოჰყვა „ჩელენჯერის“ აალება და აფეთქება.

ტელეკომპანიამ აგრეთვე გამოაცხადა, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების მაშველმა ხომალდმა „პრეზერვერმა“ მიიტანა ნაპირზე დაღუპულ კოსმონავტთა უკანასკნელი აღმოჩენილი ნეშტი“.

საბჭოთა დელეგაცია ეგვიპტეში

კაირო. აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი. ეგვიპტის დედაქალაქის აეროპორტში საბჭოთა სტუმრებს დახვდნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარე რიფაათ მაჰგუბი, სახალხო კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მუჰამედ აბდალა. სხვა ოფიციალური პირნი.

● აშშ-ლიბია

მორიგი უხეში პროვოკაცია

ვაშინგტონი. პენტაგონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ უშუალოდ ლიბიის სანაპიროსთან დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი მანევრები. სამთვენახევრის მანძილზე მეოთხე წვრთნაში მონაწილეობას მიიღებენ ახლა ხმელთაშუა ზღვაში მყოფი ავიამზიდები „სარატოგა“ და „ეიზენჰაუერ“, აგრეთვე მათთან შესაერთებლად მომავალი დამკვრელი ავიამზიდი „ამერიკა“, რომელიც უახლოეს ორ დღეში შევა ხმელთაშუა ზღვის წყლებში. ამასთან, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების წარმომადგენელი იტყობინება, მანევრების პირველი დღიდანვე აქტიურად ამოქმედდებიან საგანგებო ავიაციის თვითმფრინაველები ავიამზიდ „ამერიკაზე“, რომლის მოსვლასთან ერთად ხმელთაშუა ზღვაში ლიბიის სანაპიროსთან თავს მოიყრის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების 40-ზე მეტი სამხედრო ხომალდი.

ამერიკის სამხედრო ძალის უპრეცედენტო მასშტაბის დემონსტრაცია, ლიბიის წინააღმდეგ შეიარაღებული პროვოკაციის პირდაპირი მზადება უწოდეს არაბული ქვეყნების პოლიტიკურმა მიმმართველებმა პენტაგონის სამხედრო წვრთნას. ამერიკის სი-ბი-ეს ტელეკომპანიისათვის ცნობილი გახდა, რომ ახლანდელი მანევრები გასცდება „ჩვეულებრივი“ წვრთნის ფარგლებს. ვაშინგტონის მიზანია პროვოკაცია მოუწყოს ლიბიას, რათა ჰქონდეს საბაბი ლიბიის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებს. სამხედრო დარტყმა მიაყენოს. ამ მიზნით პენტაგონმა დაგეგმა, რომ პარასკევს სიდრის ყურეში მოაწყოს ამერიკის ავიამზიდების დემონსტრაციული, „ვიზიტი“.

3. ნ. გრიაზნოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ამიერკავკასიის წითელროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ვიასილავ ნიკოლოზის ძე გრიაზნოვი. მთელი თავისი ძალ-ღონე და ცოდნა მან მოახმარა სოციალისტური სამშობლოს უანგარო სამსახურს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებას, კომუნისტური პარტიის საქმეს, რომლის რიგებში იგი იყო 1958 წლიდან.

3. ნ. გრიაზნოვი დაიბადა 1937 წლის 24 აგვისტოს კალინინის ოლქის კილიაზნინის რაიონის სოფელ სტარიბისლოვოში. 1954 წელს შევიდა რიაზანის სამხედრო სასწავლებელში და საბჭოთა არმიის რიგებში დიდი გზა განვლო კურსანტიდან გენერალ-ლეიტენანტამდე.

1967 წელს ვ. ნ. გრიაზნოვმა დაამთავრა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია, 1981 წელს კი კ. ე. ვოროშილოვის სახელობის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. ამ წლებში იგი მსახურობდა საშტაბო თანამდებობაზე, მეთაურობდა პოლკს, დივიზიას, გაერთიანებას. 1985 წლის ოქტომბერში ვ. ნ. გრიაზნოვი დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველ მოადგილედ.

ყველა პოსტზე ვ. ნ. გრიაზნოვი გამოირჩეოდა დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით, პარტიული პრინციპულობით, დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომით, ხელქვეითთა მიმართ მომთხოვნელობისა და ზრუნვის უნარიანი შეხამებით, უბრალოებითა და თავმდაბლობით. მან დიდი წვლილი შეიტანა ოლქის ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი გაძლიერების, პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის სრულყოფის საქმეში, ღრმა პატივისცემა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ოლქის ჯარებში.

ვ. ნ. გრიაზნოვი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე იგი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, იყო ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ვ. ნ. გრიაზნოვის დამსახურება. იგი დაჯილდოებულია II და III ხარისხის „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისთვის“ ორდენებით, მრავალი მედლით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის ვიაჩესლავ ნიკოლოზის ძე გრიაზნოვის ნათელი სხოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ჯ. ი. პატიაშვილი, მ. მ. ზაიცევი, ა. ი. შირინკინი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. გაბუნია, პ. ბ. ბილაშვილი, უ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ბიბანაშვა, გ. ვ. ადლეიბა, ვ. ი. ალავიძე, ვ. გ. ლორთქიფანიძე, გ. დ. მგელაძე, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. კაკაუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ვ. რ. საჯაია, ვ. ლ. ფულეფეიი, გ. ვ. ბუბგბარიძე, ა. ნ. კლეიმენოვი, ი. ე. ბურაკოვი, გ. თ. დმიტრიევი, ი. დ. ზაიცევი, ვ. გ. იაკუშევი, ს. გ. იაცუკი, ა. თ. ნასტოგურკო, მ. ო. აბმანი.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განახლების სწრაფი ტემპი მოითხოვს პრაქტიკის მოთხოვნილებებისაკენ მეცნიერების მტკიცე შემობრუნებას. ეს საჭირო სკა-ბაასი გაგრძელდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენც-დარბაზში, სადაც 19 მარტს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების სესია.

საბჭოთა მეცნიერები, თქვა შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სკკპ XXVII ყრილობის მუშაობას, მასზე წამოყენებულ იდეებსა და წინადადებებს აღიქვამდნენ როგორც რეალისტურ და ავტორიტეტულ პასუხს ცხოვრების კონკრეტულ მოთხოვნებზე, ჩვენი რთული და პასუხსაგები ეპოქის გამოწვევაზე.

მოხსენება — „სკკპ XXVII ყრილობა საბჭოთა მეცნიერების ამოცანების შესახებ“ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა. ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, თქვა მან, რომ დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მსოფლიო განვითარების პროცესებისა და სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის ამოცანების მეცნიერულ გააზრებაში. ყრილობის ბევრმა დელეგატმა მაღალი ტრიბუნიდან ილაპარაკა იმ დიდ იმედებზე, რომლებსაც ისინი მეცნიერებაზე ამყარებენ. ჩვენი მეცნიერებისაგან მოელიან მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებსაც და შრომის მექანიზაციაში პრაქტიკულ დახმარებასაც. ამიტომ ყრილობის გადაწყვეტილებებიდან ჩვენ ყველას გამოგვაქვს მთავარი დასკვნა — მეტი ინიციატივა და შემოქმედებითი აქტიურობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.

საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. ვ. ზიმიანინი და ვ. ა. მედვედევი.

მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრების სესია მუშაობას განაგრძობს. (საკმესი).

პარტიის ერთგული ჯარისკაცი

შესრულდა ლენინური პარტიის ერთგული ჯარისკაცის, მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, მტკიცე ინტერნაციონალისტის ა. მიასნიკოვის დაბადების 100 წლისთავი. ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეების ეს მგზნებარე დამცველი და პროპაგანდისტი ს. ორჯონიკიძესთან ერთად მონაწილეობდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაში.

სწორედ მისი დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა 19 მარტს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალში გამართული საიუბილეო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გაზსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დ. სტურუამ.

სესიაზე მოხსენებები „ხალხთა ბედნიერებისა და მეგობრობის მგზნებარე მებრძოლი“, „ა. ი. მიასნიკოვი — ლიტერატურული კრიტიკოსი“ გააკეთეს პროფესორებმა გ. ქვანიამ და ა. მხითარიანმა. („კომუნისტის“ კორ).

თოვლი და მოსავალი

პრაქტიკის ყინულოვანმა სუნთქვამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზამთარი დაბარუნა. 19 მარტს სისხამ დილით თოვლმა დაფარა თბილისის ქუჩები, ბაღები და სკვერები, ქართლ-კახეთის ველები: თოვლის საფარის სისქემ საგარეჯოს რაიონში მიაღწია 17, ყვარლის მიდამოებში — 14 სანტიმეტრს.

— თოვა გამოიწვია იმან, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩრდილო-დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეიჭრა ჰაერის ცივი მასები, საბრძოლველ კი თბილი, — უთხრა რესპუბლიკის ჰიდრომეტეოცენტრის უფროსმა ნიკა ბერაძემ საქინფორმის კორესპონდენტს. — კავკასიონის თავზე მათი შეჯახების შედეგად ჰაერის შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში გათოვდა.

მერყეევი ამინდი, რომელმაც დაძნელა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები და გაართულა ავტოტრანსპორტის მოძრაობა, კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

— უამინდობამ, — თქვეს საქართველოს სახაგრომრეწვაში,— გადასწია ფასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ვადები. ეს უფიზიკურად იგრძნეს მეკარტოფილეებმა. მათ ჩვეულებრივზე ათი დღით ადრე დაიწყეს საადრეო კარტოფილის თესვა, მაგრამ იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ კამპანია. გაწვიდა და გათოვდა ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, რომლებიც რესპუბლიკაში საადრეო კარტოფილის წამყვანი მიმწოდებლები არიან. 19 მარტისათვის ამ კულტურას ეკავა მხოლოდ 1910 ჰექტარი გეგმით გათვალისწინებული 6100 ჰექტარის ნაცვლად.

მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი სურათია: წითელწყაროს, ყვარლის, გარდაბნის რაიონებს მეურნეობებმა დაამთავრეს შვრიის თესვა და შეუდგნენ მზესუმზირას თესვას. მაგრამ თოვლის გამო სამუშაოები შეჩერდა. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ მეურნეობებში შეძლეს მოემზარჯვებინათ ტექნიკა რთული პირობებისათვის, დაეწყოთ ადამიანები სძინლეების დასაძლევად. მაგალითად, ზემო მაჩხანის, ჯაფარიძის, ლენინის სახელობის, კოლმეურნეობები, წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს საბჭოთა მეურნეობა, თელავის რაიონის სოფელ ვანთის კოლმეურნეობა, სხვა მეურნეობები საგაზაფხულო კულტურებს შარშანდელთან შედარებით უპირატესი ტემპით თესენ. წითელწყაროელებმა გაარემონტეს ვენახების შპალერები 4150 ჰექტარ ფართობზე, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ დონეს. (საინფორმი).

საკადრისი პასუხი—პოლიტიკურ შანტაჟს

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების თავზეფური პროვოკაცია — მოთხოვნა, რომ შეამცირონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და უკრაინის სს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობათა პერსონალის ოდენობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფლის ქვეყანას თან ურთიერთობის კომიტეტში, საყოველთაო კრიტიკის საგანია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ჰ. ოტმა ამერიკის შეერთებული შტატების აქციას უწოდა მორიგი ნაბიჯი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის დამყარების, მისი წესდებით დამკვიდრებულ მიზნებზე, ამ ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების უფლებებზე ვაშინგტონის სისტემატური თავდასხმების სერიაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკადრისი პასუხი უნდა გასცენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ შანტაჟს, ფინანსურ ზეგავლენას და აშკარა თვითნებობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ხელი შეუშალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმალურ საქმიანობას, მის მუშაობაში იმ სახელმწიფოთა ეფექტიან მონაწილეობას, რომელთა პოლიტიკა ხელს არ აძლევს ახლადელ ადმინისტრაციას, მიმართავს უკანონობას, განაცხადა მონღოლეთის წარმომადგენელმა ბ. ო. დოლეინცერენმა. ამასთან დაკავშირებით დგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინის სხვა ქვეყანაში გადატანის აუცილებლობის საკითხი, რომელიც შეძლებს შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ამ ორგანიზაციის წინაშე, ხაზგასმით აღნიშნა მონღოლეთის წარმომადგენელმა. ეს აღნიშნა თავის გამოსვლაში აგრეთვე კუბის წარმომადგენელმა ა. ველასკო-სან ხოსემ.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ პოლონეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, ლაოსის წარმომადგენელები, რომლებმაც მოითხოვეს აღკვეთონ აშკარა თვითნებობა, ძირს რომ უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დაუპირისპირონ უკანონობას საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვისა და განმტკიცების ღონისძიებანი. ბევრი სახელმწიფოს დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საქციელი მთელი საერთაშორისო გაერთიანების აბუჩად აგდებაა.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებათა სისტემატური დარღვევა საყოველთაო შეშფოთებას იწვევს, თქვა ლიბიის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რ. აზარუქმა. ადმინისტრაციის თვითნებობა, აშკარა დისკრიმინაცია და ყოველგვარი შეზღუდვები, თქვა ლიბიელმა აბორიგენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აკრედიტებული ბევრი ქვეყნის დიპლომატების მიმართ, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს საფრთხე შეუქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის მომავალს, ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული მიზნების განხორციელებას, აღნიშნა მან.

უკრაინის სს რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ი. უდოვენკომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბელორუსიის სს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელ მ. ო. ნ. პაშკევიჩმა მოითხოვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ გააუქმონ სამართალსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო აქციის საყოველთაო და მტკიცე დგომის პირობებში ნერვებმა აშკარად უმტყუნა ამერიკის წარმომადგენელს, რომელმაც მისთვის „წარდგენილი ფაქტების პასუხად საერთაშორისოს გაერთიანების წარმომადგენლებს თავს დაატეხა აშკარად შეურაცხყოფელი სიტყვები.

● საფრანგეთი-ჩადი

ინტერვენციონისტული ძალების იმედი აქვთ

პარიზი. აქ გაიმართა საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანისა და თავდაცვის მინისტრის პ. კილესის შეხვედრა, რომელზეც განხილეს ჩადის მდგომარეობა. მინისტრმა მოახსენა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურს ცენტრალური აფრიკის ამ ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარი ამბების შესახებ.

როგორც ფრანს პრესის საგაზეთო იუწყება, პ. კილესი შეხვდება თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს ოფიცრებს, კერძოდ, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს გენერალ ჟ. სონიეს და სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსებს.

ჩადში საომარი მოქმედების გაძლიერების განმარტებისას მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ნჯამენის პროდასავლური რეჟიმი, რომელიც ეყრდნობა საფრანგეთის ინტერვენციონისტულ ძალებს და ვაშინგტონისა და პარიზის ყოველმხრივი დახმარებით სარგებლობს, არ აპირებს ეძიოს წმინდა საშინაო კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი გზები. ჰაბრე აშკარად აპირებს გამოიყენოს ამერიკული იარაღი და საბრძოლო ტექნიკა, რომელსაც მას უხვად აწვდიან, და სოფრანგეთის საბჭოური დარღვევა ჩადის ინტერესებისათვის.

ჩადის საქმეებში გარეშე ჩარევის შეწყვეტა საშუალებას მისცემს ამ ქვეყნის ხალხს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს კონფლიქტური სიტუაცია, ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთის ყოველკვირეული „ტემუანიაჟ კრეტიენი“. საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, აღნიშნავს ყოველკვირეული, ლაპარაკობენ ჰაბრეს „მთავრობაზე“, ხოლო ჩადის დანარჩენი დაჯგუფებანი მათთვის „ამბოხებულნი“ არიან. ამასთან ისინი ავიწყებენ, რომ სულ ოთხი წლის წინათ ამბოხებულმა ჰაბრემ ამერიკისა და საფრანგეთის შეიარაღების დახმარებით ძალით დაამხო ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა.

ნჯამენის რეჟიმის რეალური ხელისუფლება ვრცელდება მხოლოდ ჩადის ცენტრზე, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცალკეულ სამხრეთ-დასავლეთ რაიონებზე, წერს „ტემუანიაჟ კრეტიენი“. მკვლელობა, ჩხრეკა-დაპატიმრება, კორუფცია ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა ქვეყნის იმ ნაწილებში, რომლებიც ჰაბრეს კონტროლს ექვემდებარებიან, აღნიშნავს ყოველკვირეული. მე-16 და მე-15 პარალელის ჩრდილოეთით ქვეყანას ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობა მართავს.

● საბჭოთა-ჩადი

ინტერვენციონისტული ძალების იმედი აქვთ

პარიზი. აქ გაიმართა საფრანგეთის პრეზიდენტის ფ. მიტერანისა და თავდაცვის მინისტრის პ. კილესის შეხვედრა, რომელზეც განხილეს ჩადის მდგომარეობა. მინისტრმა მოახსენა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურს ცენტრალური აფრიკის ამ ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარი ამბების შესახებ.

როგორც ფრანს პრესის საგაზეთო იუწყება, პ. კილესი შეხვდება თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს ოფიცრებს, კერძოდ, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს გენერალ ჟ. სონიეს და სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსებს.

ჩადში საომარი მოქმედების გაძლიერების განმარტებისას მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ნჯამენის პროდასავლური რეჟიმი,

მოკლედ

● სტოკჰოლმი. შვეიცარიის ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ურყევი რჩება. ეს განაცხადა შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ანდერსონმა, რომელმაც გააკეთა სამთავრობო განცხადება რიქსდაგში (პარლამენტში). საგარეო-პოლიტიკური კამათის გახსნისას მან აღნიშნა, რომ კაბინეტი განაგრძობს საქმიანობას განიარაღების, ჩრდილოეთ ევროპაში უბირთვო ზონის დაწესების ინტერესებისათვის.

ს. ანდერსონმა თქვა, რომ საჭიროა დაიდოს ხელშეკრულება ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ.

● ბუდაპეშტი. აქ მუშაობა დაამთავრა სოციალისტური ქვეყნებისა და სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოების ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირმა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ქალთა პროგრესული დემოკრატიული მოძრაობის ამოცანები მშვიდობისათვის ბრძოლაში.

● ტრიპოლი. ლიბიის დედაქალაქში დამთავრდა ანტიიმპერიალისტური ძალების კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე დელეგაცია. მათ შორის საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციაში სოლიდარობას უცხადებენ პლანეტის მთელ მებრძოლ ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის, სიონიზმის, რასიზმისა და რეაქციის შეთქმულების ობიექტად იქცნენ.

შარპევილის ექო

21 მარტი რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ყოველი წლის 21 მარტი აღინიშნება როგორც რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე.

ოცდაექვსი წლის წინათ, 1960 წლის 21 მარტს იოჰანესბურგის გარეუბანში შარპევილისა და ლანგის დასახლებულ პუნქტებში უმოწყალოდ დახვრიტეს სამშვიდობო დემონსტრაციები.

შარპევილის ტრაგედია შემობრუნების მომენტად იქცა სამხრეთ აფრიკის ხალხისათვის. რასისტი ჯალათების მიერ მოწყობილ ხოცვა-ყლეტას შედეგად მოჰყვა მასობრივი მანიფესტაციების მძლავრი ტალღა მთელ ქვეყანაში. ცხრა დღის შემდეგ ხელისუფალნი იძულებული გახდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საგანგებო წესები შემოეღოთ, რომელიც ხუთ თვეს გრძელდებოდა. ზაფხულის მიწურულს სჰპატიმროში აღმოჩნდა ოცი ათასი კაცი. სწორედ მაშინ აკრძალა სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის საქმიანობა, და სწორედ მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება პატრიოტებმა აპარტეიდის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასულიყვნენ. 1961 წლის 16 დეკემბერს იოჰანესბურგსა და პორტ-ელიზაბეტში პირველი საბრძოლო ოპერაციები განახორციელა „უმ კონტო ვე სიზვემ“ („ერის შუბი“) — აფრიკელთა ეროვნული კონგრესის სამხედრო ორგანიზაციამ.

ის, რაც ახლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ხდება, ბევრი რამით მეოთხედი საუკუნის წ

სამეფო ვურღუნის დაბადების 80 წლისთავისათვის

ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერალი

„სამეფ ვურღუნის ხმას გაიგონებენ ბადიშიშვილები, რადგან მომავლის ადამიანებმა არ შეიძლება არ ირწმუნონ ამ პოეზიის გულწრფელობა და ძალა, პოეზია, რომელიც დედამიწაზე დაბიჯებს და წლითიწლობით ახალგაზრდავდება და საოცრად მშვენიერი ხდება“, — ეს სიტყვები აზერბაიჯანის სახალხო პოეტზე, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეზე ს. ვურღუნზე ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა პოეტს ნიკოლოზ ტიხონოვს.

დრმე დაადასტურა პოეტის წინასწარმეტყველება.

ვურღუნი ცოცხალია, მისი პოეზია უწინდებურად მწყობრშია. მის წიგნებს დიდი ტირაჟით გამოსცემენ როგორც აზერბაიჯანში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საზღვარგარეთ. აზერბაიჯანის თეატრების რეპერტუარს ამშვენებს მისი პიესები. სწორედ მისი ქმნილებების მეოხებით აზერბაიჯანის მრავალსაუკუნოვანი კულტურა — პოეზია, ხელოვნება, ფილოსოფიური აზრი — მრავალი ხალხის კუთვნილება გახდა.

თავისი ნაწარმოებებით — იგი კი მრავალმხრივი შემოქმედი იყო და შექმნა ლიტერატურული და დრამატული ქანრის მთელი რიგი შესანიშნავი. ნაწარმოებები, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, მხატვრული ნარკვევები, თარგმნები — ს. ვურღუნი აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური კულტურის მშენებლობაში.

განსაკუთრებული ძალით აჟღერდა პოეტის ხმა დიდი სამამულო ომის წლებში. ვურღუნის მტრის სიძულვილით აღსავსე მგზნებარე სტრიქონები მოუწოდებდა ადამიანებს ბრძოლისათვის, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის.

მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში ს. ვურღუნი შვიდა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მომღერლად.

განსაკუთრებით ტკბილ ხმებს გამოსცემდა პოეტის ქნარი, როცა წერდა საყვარელ, „ძმაზე ძვირფას“ მეზობელზე — ქართველ ხალხზე. სწორედ ამას მოწმობს პოეტის მრავალი ქმნილება, რომლებმაც ეძღვნება საქართველოს, მის მშრომელებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, სტატიები ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზე და, ბოლოს, ვურღუნის ინიციატივითა და მისი მონაწილეობით აზერბაიჯანულ ენაზე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით თარგმნიდა ს. ვურღუნი აზერბაიჯანულ ენაზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, თანამედროვე პოეტების — თავისი მეგობრების გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, რ. მარგიანის, ი. ნონეშვილისა და სხვათა ნაწარმოებებს.

პიესაში „ვაგიფი“ — XVIII საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის ცხოვრების ამსახველ ხალხურ-პეიზაჟულ დრამაში ს. ვურღუნმა მოგვითხრო, თუ როგორ გახდა პოეტი აზერბაიჯანსა და საქართველოში ირანის შაჰის ჯარების შემოსევისადმი წინააღმდეგობის ორგანიზატორი, თუ როგორ მტკიცედებოდა გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობა კავკასიის სხვა ხალხებთან, თუ როგორ გაჰყურებდა იმედის თვალით მისი ხალხი ჩრდილოეთს, რუსეთს.

ქართველი მწერლები გატაცებით თარგმნიდნენ ს. ვურღუნის პოეზიას; „ეძღვნიდნენ მას ლექსებს და ამიტ გამოხატავდნენ მისდამი უდიდეს პატივისცემას. პატივისცემას მიაგებენ დღესაც, როდესაც, აზერბაიჯანის გამოჩენილ შვილს, შესანიშნავ ჰუმანისტსა და ინტერნაციონალისტს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

(საქინფორმი).

საქართველო ხმას შერთვებს ფესტივალს

სკკპ XXVII ყრილობის დღეებში დაიწყო და მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი.

საქართველოში ფესტივალი გაიხსნება ხვალ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტით. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა ფესტივალის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაპაძე.

— **ჩვენს** რესპუბლიკაში მეორე საკავშირო ფესტივალისათვის მზადება კარგა ხანია დაიწყო. შექმნილია რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ჩერქეზია. მუშაობენ საორგანიზაციო კომიტეტის ბიურო, სექციები, კომისიები, რომელთა შემადგენლობაში არიან ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული მუშაკები, კულტურის დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ფესტივალის მიზანია ხელი შეუწყოს მშრომელების ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის გაძლიერებას, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მათს დარაზმვას. იგი პრომაგანდას გაუწევს დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, მშვიდობისა და სოციალისტური პროგრესისათვის საბჭოთა ადამიანების ბრძოლას, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებას, ფესტივალის დასკვნითი ნაწილი მომავალი წლის ნოემბერში გაიმართება მოსკოვში.

ფესტივალის პირველი ეტაპი მთელ რესპუბლიკას მოიცავს და ადგილებზე გაიმართება. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ საწარმოებისა და დაწესებულებების, სასწავლებლების — სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, კლუბების, კულტურისა და დასვენების პარკების, სპორტული დაწესებულებების, ჯარის ნაწილების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივები. თვითმოქმედი და ნორჩი მხატვრები, ეტნიკოსები, ნატურალისტები გამოფენებზე გვიჩვენებენ თავიანთ ნამუშევრებს, მოეწყობა მოყვარულთა ფილმების ჩვენება.

შექმნილია კომპეტენტური ჟიური ფესტივალზე წარმოდგენილი ყველა სახეობის ხელოვნების დარგში. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო ორგანოების საპატიო სიგელებთა, ვიმპელებით, სახსოვარი საჩუქრებითა და პრიზებით, დიპლომებით, დასკვნითი ღონისძიების მონაწილეები კი დაჯილდოვდებიან საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის დიპლომებითა და ნიშნებით.

პირველ აპრილს მოსკოვში იხსნება საბჭოთა კომპოზიტორების VII ყრილობა — მრავალეროვნული სამუსიკო ხელოვნების დიდი დათვალიერება. ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას უძღვის კონცერტები — — თავისებური შემოქმედებითი ანგარიშები. საქართველოს კომპოზიტორთა ორგანიზაცია, საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთი წამყვანი რაზმი, — აღნიშნა სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ტიხონ ხრენიკოვმა, — ამ პასუხსაგებ დათვალიერებაზე გამოიტანს თავის საუკეთესო ნაწარმოებებს.

კონცერტების პროგრამაში, რომლებიც მოეწყობა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში, კომპოზიტორთა სახლში, აჟღერდება სსრ კავშირის სახალხო არტისტების ანდრია ბალანჩივაძისა და ალექსი მაჭავარიანის მეოთხე და მესამე სიმფონიები, ფრაგმენტები სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის „ლირიკული სიმღერებიდან“, რომლებიც დაწერილია პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსებზე. საქართველოს სახელმწიფო სიმღერათა კვარტეტი შეასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის სულხან ცინცაძის ერთ-ერთ ახალ თხზულებას — მეათე კვარტეტს.

ყრილობის მონაწილენი და სტუმრები გაეცნობიან ეოკალურ-სიმფონიურ პოემას, რომელიც რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ბიძინა კვირნაძემ შექმნა პოეტ ეთერ თათარაიძის ლექსებსა და ხალხურ ტექსტებზე. სოლისტი იქნება მომღერალი მანანა ეგაძე.

საბავშვო-საყმაწვილო მუსიკის კონცერტზე შესრულდება საქართველოს სახალხო არტისტის მერი დავითაშვილის სიმღერები.

ყრილობის საბოლოო კონცერტზე აჟღერდება საქართველოს სახალხო არტისტის გია ყანჩელის მეექვსე სიმფონია. ეს ეპიკური თხზულება, რომელიც წარმატებით შესრულებულა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, დაგვიგრგვინებს ქართული მუსიკის პროგრამას სრულიად საკავშირო დათვალიერებაზე.

(საქინფორმი).

ჰალეის კომეტა „სამოსს“ იცვლის

ცის კამარა-მნ-ის „ვარსკვლავთმფლობელ“ ჰალეის კომეტას ამა-სოუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიის თანამშრომლებმა — ცალი, რომელიც — ედამიწიდან ოვეი ქიმერიძეს ფოტოსურათი გადაუღო იმ მომენტში, როცა თავისი „სამოსის“ ნაწილი დაკარგა...

— მძლავრი ტელესკოპის საშუალებით გადაღებულ ამ იშვიათ ფოტოსურათზე მკაფიოდ მოჩანს, თუ როგორ სცილდება კოსმოსური მოგზაური თავისი ქათქათა შლეიფის ნაწილს, — განმარტა ეს მოვლენა ობსერვატორიის დირექტორის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვიქტორ ჯაფიაშვილმა. — კომეტის ასეთი „დაბნეულობა“ პირველად შეუნიშნავთ ასტრონომებს შორეულ წარსულში — ძველი წელთაღრიცხვის 240 წელს. მაგრამ ყოველთვის, როცა შლეიფი მოსწყდებოდა, მას ახალი უჩნდებოდა ხოლმე. ოღონდ მის დანახვას, მით უმეტეს ამ პროცესის ფირზე აღბეჭდვას, ყველა როდი ახერხებს.

— დიდხანს ეყოფა თუ არა კომეტას „მასალა“ თავისი „ოსტატობის“ განახლებისათვის“?

— ჯერ ვავითვალისწინებთ, რომ შლეიფის დაკარგული ნაწილი იწონის დაახლოებით 250 მილიონ ტონა მის შემადგენელ ნივთიერებას, მაშინ 15 ათასი წელიწადს მაინც, ესე იგი ეს მზესთან, დედამიწასთან მისი ორასი შეხვედრისათვის ახლა ჰალეის კომეტა იწონის დაახლოებით 60 მილიარდ ტონას. მზის გარშემო ციური სხეულის ერთი გარშემოვლის პერიოდი 76 წელიწადს შეადგენს. მაშასადამე, მარტო ძველი წელთაღრიცხვის 240 წლიდან დღევანდლამდე კომეტა 30-ჯერ მიახლოებია დედამიწას. მის დაკვირვებას დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს, რადგან ნიადაგ იცვლის თავის გარეგნობას. კომეტას, მაგალითად, დედამიწიდან ხილული კუდი ხშირად ცვლა, იქმნება ახალი ან იძენს სხვაგვარ გეომეტრიულ ფორმას. ეს ცვლილებანი — ცალი, რომელიც — ედამიწიდან ოვეი ქიმერიძეს — ამ ცვლილებათაგან ჩანს, მიმდინარეობს კომეტაზე მზის ქარის— პლაზმის დაიონებული ნაწილაკების ზეგავლენით.

საბჭოთა კავშირში შეიქმნა ჰალეის კომეტის შესწავლის სპეციალური კომისია — „საბჭოთა პროგრამა“. აბასთუმნის ობსერვატორია ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. ქართველმა ასტრონომებმა მარტო შარშან საბჭოთა და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში მიიღეს ჰალეის კომეტის 10 სპექტრული და 100 ფოტოგრაფიული გამოსახულება. მოეწყო მისი 1000-ზე მეტი ფოტოელექტრული და პოლარიმეტრიული გაზომვა. ამჟამად მიმდინარეობს მიღებული საყურადღებო ინფორმაციის დამუშავება. მისი გაშიფვრა დაგვეხმარება ამოვხსნათ კომეტების წარმოქმნის, სიცოცხლის საიდუმლო.

6 და 9 მარტს საბჭოთა „ვეგა-1“ და „ვეგა-2 კოსმოსურმა აპარატებმა ზედმიწევნით „დათვალიერეს“ ჰალეის კომეტა, რომელიც მზის გარშემო თავის მორიგ მოგზაურობას იწყებდა.

ქართველმა ასტრონომებმა 14, 16 და 17 მარტს დედამიწიდან კვლავ გადაუღეს ფოტოსურათი ციურ სტუმარს. როგორც ფოტოსურათები მოწმობენ, კომეტის კუდმა სრულიად სხვა სახე შეიძინა.

მზის გარშემო „კრუზის“ შემდეგ ჰალეის კომეტა კვლავ მოუახლოვდება დედამიწას, მაგრამ უკვე მაქსიმალურად ახლო მანძილზე — 62 მილიონ კილომეტრზე. ეს მოხდება 11 აპრილს. მაგრამ მას დაინახავენ დედამიწის მხოლოდ სამხრეთი ნახევარსფეროს მცხოვრებლები.

ა. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

ნათელი ცხოვრების მაგალითი

პროფესორ ოთარ ეზიკაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირეული საკითხი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარებაა. სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო აპარატის განახლებას მოწინავე ტექნიკის ბაზაზე. პროფესორი ოთარ ეზიკაშვილი სწორედ იმ მეცნიერთა პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ, რომლებსაც ყოველთვის ღრმად ესმოდათ, რომ მხოლოდ ამ საშუალებით ხორცშესხმული იდეები კვებავს მრეწველობას ეფექტიანობითა და პროდუქტიულობით.

მომავალი სწავლულის გზა იმ დიდიდან დაუკავშირდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, როცა მან ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ენერგეტიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით დაასრულა და, თუმცა მეცნიერული მუშაობისადმი იმთავითვე დიდი ლტოლვა ჰქონდა, მაინც ამჯობინა ისეთი საქმისთვის მოეკიდა ხელი, რომელიც უშუალოდ მაშინერიასა და მექანიკას უკავშირდება.

ქუთაისის ლითოფოფონის ქარხანაში მთავარ მექანიკოსად მუშაობდა, როცა დიდი სამამულო ომის დაწყების გამო, საჭირო გახდა დაზგების ურთულესი რეკონსტრუქცია. თუ რამდენად წარმატებით გაართვა ასე ძნელ საქმეს თავი მთავარმა მექანიკოსმა, ამას ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მალე სამუშაოდ გადაჰყავთ თბილისში ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორად. ქარხანაში იგი მთავარი ინჟინრის ფუნქციასაც ასრულებს.

1946 წელს უკვე სახელმოხვეჭილ ინჟინერს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათა ნაწილების კათედრაზე იწვევენ მექანიზმებისა და მანქანების თეორიისა და მანქანათა ნაწილების კურსების წასაკითხად. აქ მუშაობის წლებში მან დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების კათედრის გამგე ამავე დისციპლინებში კითხულობს ლექციებს. შესანიშნავი პედაგოგის ლექციები ღრმა ერუდიციითა და ბომბხლავი გადმოცემით მუდამ იზიდავდა და იზიდავს ფართო აუდიტორიას. ამიტომაც უყვართ თავიანთი მასწავლებელი სტუდენტებსა და ასპირანტებს, უყვართ იმ სიბრძნისათვის, ასე ეშურველად რომ გასცემს. ამ მხრივაც იგი, მართლაც რომ, შესანიშნავი მემკვიდრეა თავისი მშობლებისა — მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი პედაგოგების ირაიდა და სიმონ ეზიკაშვილებისა. მისთვის, როგორც მაწავლებლისათვის, უპირველესი სიხარულია არა მარტო ის, რომ შეასწავლოს, არამედ შეაყვაროს კიდეც საგანი სტუდენტს, რადგან ამგვარი სიყვარულის გარეშე სწავლისა და ძიების ენთუზიაზმი არ იქნება.

ასევე დიდ შრომას ეწევა სწავლული ახალგაზრდა მეცნიერთა აღსაზრდელად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ პროფესორმა ო. ეზიკაშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თხოვნით სპეციალური თემატიკით მოამზადა 4 ტექნიკის მეცნიერების კანდიდატი, რომლებიც ახლა წარმატებით განაგრძობენ მეცნიერულ კვლევას თავიანთ ლაბორატორიებში.

მეუხდავად დროის სიმკირისა, მეცნიერმა შეძლო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თხუთმეტამდე ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო შეექმნა. წიგნებმა სპეციალისტების ერთსულოვანი აღიარება დაიმსახურა. სხვათა შორის, ეს ნაშრომები თვით პედაგოგ მეცნიერთა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მოამუშავე ინჟინერ-კონსტრუქტორთა ყოველდღიურ სახმარ, სამაგიდო წიგნებადაც იქცა.

ო. ეზიკაშვილმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის, მისი კათედრებისა და საწარმოო ლაბორატორიების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

ასეთივე ნათელი ნიშნით, დაუცხრომლობითა და მიზანსწრაფულობით გამოირჩევა ო. ეზიკაშვილის მთელი მოღვაწეობა, საქართველოში მანქანათმშენებლობის განვითარების ყველაზე არსებითსა და ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს რომ უკავშირდება. მისი გამოგონებანი (იგი კი 20-ზე მეტი გამოგონების ავტორია) ინერგება პრაქტიკაში. რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა სიმპოზიუმზე წარდგენილი მისი სამეცნიერო მოხსენებების შესახებ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ქართველი სწავლულის ნაშრომები ცხოველ ინტერესს იწვევს მოძმე რესპუბლიკებსა და უცხოეთშიც. კერძოდ, ო. ეზიკაშვილის შრომები გამოცემულია დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებშიც.

ო. ეზიკაშვილს სიახლის საოცარი გრძნობა, არსებულის განახლებისათვის საჭირო ოპტიმალური გადაწყვეტის მიკვლევისა და მისი განხორციელების შესაშური უნარი აქვს. ეს თვისებები მას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგში აყენებს.

როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ხშირად მიმართავს სხვადასხვა საწარმოსთან სამეურნეო და პარტნიორულ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკას. ამ პროცესში უაღრესად აქტიურად მონაწილეობს მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების კათედრაც. მას წლების მანძილზე მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს ისეთ მსხვილ საწარმო-დაწესებულებებთან, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“, რუსთავის ქიმიური ქარხანა, გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა და სხვა.

სტუდენტებისა და ახალგაზრდა კოლეგებისათვის ნამდვილად მისაბაძია ღვაწლმოსილი სწავლულის საზოგადოებრივი საქმიანობაც. იგი არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და მუშა-პროცესების თეორიის საპრობლემო საბჭოს საქართველოს სექციის წევრი, ინსტიტუტისა და ავტოსაგზაო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, მანქანათმშენებლობაში ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების სამეცნიერო მეთოდიკური საბჭოების პრეზიდიუმის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი და სხვა.

ნაყოფიერი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დიდი ცოდნითა და ცხოვრებისეული პრაქტიკით აღჭურვილი სახელოვანი სწავლული კვლავაც ენერგიულად იღვწის მეცნიერების სარბიელზე.

დ. ჩხეიძე,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო დარგში, პროფესორი;

შ. საბიაშვილი,
ინსტიტუტის საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ ულენინური თეორიის პროპაგანდის — 93-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტ ი ს — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 93-22-93, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციი ს — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყაროს — 23-66; ტყიბული — 25-82.

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

აკვარელის ფერადოვანი სამყარო



სწორედ რომ საგაზაფხულო განწყობილებაა საქართველოს სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზებში. ამ დღეებში აქ გაიხსნა საქართველოს სსრ მხატვართა აკვარელის IV რესპუბლიკური გამოფენა, რომელზეც 120 მხატვრის 300-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი.

ფერთა სიუხვე და ქანრული მრავალფეროვნება იმთავითვე იქცევს მნახველთა ყურადღებას.

აკვარელზე მუშაობა განსაკუთრებულ სიფაქიზესა და პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს, და რარიგ სასიხარულოა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ გამოცდილ მხატვართა ნამუშევრების გვერდით ვხედებით სრულიად ახალბედა ნიჭიერი მხატვრების ნახატებსაც. ყურადღებას იქცევს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების ვ. ჯაფარიძის „სვანეთი“, „მოოლოდნელი თოვლი“, ი. ფედოსოვას „ქალის პორტრეტი“, „ძველი თბილისი“, ა. ბალაბუევის „სალამო“, „ტყე“, თ. ასტაშვილის „კახეთი ზამთარში“, ვ. გიორგობიანის „ანანური“; ახალგაზრდების: მ. პატარქალიშვილის „ეზო მთაწმინდაზე“, „ნადირობა“, მ. არაბულის „ნატურმორტი“, გ. გორგილაძის „ზამთარი“, ქ. ნიკოლაიშვილის „ბუდე“. საინტერესოა აგრეთვე ბ. ტუღუშის „გამოღვიძება“, „თანამგზავრები“ თ. ჰეინეს „ორნი ცხენზე“.

ლ. კილაძე.

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ა. ბალაბუევის — „სალამო“, თ. ჰეინეს — „ორნი ცხენზე“.

საინტერესო საკონცერტო პროგრამით

ტორთა სახლში, აჟღერდება სსრ კავშირის სახალხო არტისტების ანდრია ბალანჩივაძისა და ალექსი მაჭავარიანის მეოთხე და მესამე სიმფონიები, ფრაგმენტები სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოთარ თაქთაქიშვილის „ლირიკული სიმღერებიდან“, რომლებიც დაწერილია პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსებზე. საქართველოს სახელმწიფო სიმღერათა კვარტეტი შეასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის სულხან ცინცაძის ერთ-ერთ ახალ თხზულებას — მეათე კვარტეტს.

ყრილობის მონაწილენი და სტუმრები გაეცნობიან ეოკალურ-სიმფონიურ პოემას, რომელიც რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ბიძინა კვირნაძემ შექმნა პოეტ ეთერ თათარაიძის ლექსებსა და ხალხურ ტექსტებზე. სოლისტი იქნება მომღერალი მანანა ეგაძე.

საბავშვო-საყმაწვილო მუსიკის კონცერტზე შესრულდება საქართველოს სახალხო არტისტის მერი დავითაშვილის სიმღერები.

ყრილობის საბოლოო კონცერტზე აჟღერდება საქართველოს სახალხო არტისტის გია ყანჩელის მეექვსე სიმფონია. ეს ეპიკური თხზულება, რომელიც წარმატებით შესრულებულა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, დაგვიგრგვინებს ქართული მუსიკის პროგრამას სრულიად საკავშირო დათვალიერებაზე.

(საქინფორმი).

გადავდივართ ზაფხულის დროზე

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სიხშირეთა სახელმწიფო კომისია გვაუწყებს, რომ კვირას, 30 მარტს, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნება ზაფხულის დრო.

ზაფხულის დროზე გადადგავართ 30 მარტს 2 საათზე, რისთვისაც საათის ისარი ერთი საათით წინ უნდა გადავწიოთ.

მანეჟზე — უნგრეთის ცირკის ოსტატები



ასოგით თბილისელი, ქალაქის სტუმარი ხდება მოწმე დიდი პროგრამისა, რომლითაც ამ დღეებში საქართველოს დედაქალაქში გამოდიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის ოსტატები.

თავიანთ ოსტატობას გვიჩვენებენ აკრობატები და ეონგლიორები, მუსიკალური ექსცენტრიკოსები და მომთვინიერებლები, საჰაერო ტანმოვაჯაბეები და ეკვილიბრისტები, ეოკეები და მოჯირითეები. პროგრამის მთავარი ნომერია ატრაქციონი „ლომები“, რომელსაც მომთვინიერებები მარიეტა და ლასლო ხელმძღვანელობენ.

სურათებზე: გამოდის აკრობატული ანსამბლი იშტვანის ხელმძღვანელობით; გაისმის მომთვინიერებლის ბრძანება და ლომები „მოტორბოლის“ სტარტზე „დგებიან“.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

საქართველოს პირველობაზე

რესპუბლიკის საჭადრაკო ჩემპიონატზე დამთავრდა პირველი ნახევარი. გადადგმული პარტიების დასრულებისას ტყუბუჩავამ ეტლების ენდშპილში გამოიყენა ზედმეტი პაიკი და მოუგო ჯანჯღლაგას. იოსელიანის ეტლი და კუ ჰქონდა კრასენკოვის ეტლის წინააღმდეგ. ბათუმელი ოსტატი ზუსტად იცავდა თავს და 98-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. კიდევ უფრო დიდხანს, 104-ე სვლამდე გაგრძელდა უბილავა-გიორგაძის პარტია. გიორგაძეს ორი პაიკი აკლდა, მაგრამ ლაზიერით მუდმივი ქიშის მუქარას უქმნიდა თეთრების მეფეს. უბილავამ ერთი პაიკი დათმო, მაგრამ ამასობაში გაცვალა ლაზიერი. შექმნილ ენდშპილში მცირე მატერიალური უპირატესობა ი ს რეალიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდა — ყაიმი.

6 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულა დაგროვა ორმა მონაწილემ— უბილავამ და ბაღათუროვმა. 4 ქულით მესამე ადგილზეა კრასენკოვი. 3,5-3,5 ქულა აქვთ გიორგაძეს, ჯანჯღლაგასა და ჭიპაშვილს.

ყველა ფედერაციის

მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში კიევის დინამოელებმა ვენაში ადგილობრივ „რაპიდთან“ დამაჯერებელი გამარჯვება (4:1) მოიპოვეს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ კიელელებს ნახევარფინალში გასვლა არ გაუჭირდებოდათ. ასეც მოხდა, კიელელებმა მასპინძლადაც იმარჯვეს (5:1) და ახლა ნახევარფინალში ითამაშებენ. თასების მფლობელთა თასის გათამაშების დანარჩენი განმორებითი მეოთხედფინალური მატჩები ასე დამთავრდა: პორტუგალიის „ბენფიკა“-ჩეხოსლოვაკიის „დუკლა“ — 2:1 (პირველი შეხვედრა — 0:1), გფრ-ის „ბაიერი“-გდრ-ის (დრეზდენი) „დინამო“ — 7:3 (0:2), ესპანეთის (მადრიდი) „ატლეტიკო“-იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“ — 1:1 (2:0). ამრიგად, ნახევარფინალში ითამაშებენ კიევის „დინამო“, „დუკლა“, „ბაიერი“ და „ატლეტიკო“.

გთავაზობთ სხვა ტურნირების განმორებითი მეოთხედფინალური მატჩების შედეგებსაც:

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ბელგიის „ანდერლეხტი“-გფრ-ის „ბაიერნი“ — 2:0 (პირველი მატჩი — 1:2), ფინეთის „კუუსუისუი“-რუმინეთის „სტიაუა“ — 0:1 (0:0), შვეიცის „გეტებორგი“-ზოტლანდიის „აბერდინი“— 0:0 (2:2), იტალიის „იუვენტუსი“-ესპანეთის „ბარსელონა“ — 1:1 (0:1). ნახევარფინალში გავიდნენ „ანდერლეხტი“, „სტიაუა“, „გეტებორგი“ და „ბარსელონა“.

უეფას თასი. გფრ-ის „კელნი“-პორტუგალიის „სპორტინგი“ — 2:0 (პირველი მატჩი — 1:1), შეიციარიის „ცსმაქსი“-ესპანეთის (მადრიდი) „რეალი“ — 2:0 (0:3), ბელგიის „ვარეგემი“-იუგოსლავიის „ჰაიდუკი“ — 1:0 (0:1) — პენალტების სერიით (5:4) ბელგიელებს მიეკუთვნათ გამარჯვება. საფრანგეთის „ნანტი“-იტალიის „ინტერი“ — 3:3 (0:3). ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „კელნმა“, „რეალმა“, „ვარეგემმა“ და „ინტერმა“.

ნახევარფინალურ მატჩებში მონაწილეთა წილისყრა მოეწყობა 21